07/03/2023

ჩარლზ მესამისთვის მირონი იერუსალიმის პატრიარქმა აკურთხა

ბუკინგემის სასახლის ინფორმაციით, წმინდა ზეთი, რომელიც გამოყენებული იქნება 6 მაისს მეფე ჩარლზ III-ის კორონაციის დროს, აკურთხეს იერუსალიმში ქრისტიანულ ტაძარში. ამის შესახებ CNN იუწყება.

„მირონის ზეთს“ ამზადებდნენ ზეთისხილის მთაზე მოკრეფილი ზეთისხილისგან, მთიან იერუსალიმში ძველი ქალაქის აღმოსავლეთით, რომელსაც რელიგიური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანებისთვის.

განცხადების თანახმად, ზეთისხილი მარია მაგდალინელის მონასტრიდან და ამაღლების მონასტრიდან ბეთლემის მახლობლად დაწურეს, სადაც იესო დაიბადა.

კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ჯასტინ უელბიმ განაცხადა, რომ მას სურდა ეხილა ზეთისხილის მთის ზეთისხილის ახალი ზეთი მას შემდეგ, რაც დაიწყო კორონაციის დაგეგმვა.

„ეს ცხადყოფს ღრმა ისტორიულ კავშირს კორონაციას, ბიბლიასა და წმინდა მიწას შორის. უძველესი მეფეებიდან დღემდე მონარქებს ამ წმინდა ადგილიდან მოკრეფილი ზეთისხილის ზეთს სცხებდნენ. ვიდრე ჩვენ ვემზადებით მეფისა და დედოფლის ცხებისთვის, მე ვლოცულობ, რომ სულიწმინდამ უხელმძღვანელოს და გააძლიეროს

ისინი“ – ნათქვამია განცხადებაში.

კორონაციის დღეს კენტერბერის არქიეპისკოპოსი უხელმძღვანელებს მეფისთვის მირონცხების პროცესს.

პარასკევს ზეთი აკურთხეს იერუსალიმის უფლის წმინდა საფლავის ტაძარში გამართულ ცერემონიაზე. ის იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა, უნეტარესმა თეოფილოს III-მ და იერუსალიმში ანგლიკანელმა მთავარეპისკოპოსმა, უწმინდესმა ჰოსამ ნაუმმა ჩაატარეს.

ჩარლზის კორონაციის ზეთი ეფუძნება მრავალსაუკუნოვან ფორმულას, რომელიც გამოიყენებოდა 1953 წელს მისი დედის, დედოფალ ელიზაბეტ II-ის ცხების დროს, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებებით.

dogma.ge